

დანყებითი კლასის მოსწავლეების განათლების პრაქტიკების
ტრანსფორმაცია კოვიდ პანდემიის დროს

მარიამ ლომიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხემძღვანელი: ნინო რჩეულიშვილი, სოციოლოგიის ასისტენტ-პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ლომიძე

10.02.2022

აბსტრაქტი:

2020 წლის გაზაფხულზე, როდესაც საქართველოში პირველად დაფიქსირდა COVID-19 ინფექცია, სხვა მრავალ ქვეყანასთან ერთად, საქართველოშიც, სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში შეჩერდა და სწავლება ვირტუალურ საკლასო ოთახებში, ონლაინ გაგრძელდა.

კვლევის ფარგლებში განხილულია დაწყებითი კლასის მოსწავლეების განათლების პრაქტიკების ტრანსფორმაცია კოვიდ პანდემიის დროს/საწყის ეტაპზე.

ნაშრომში წარმოდგენილია დაწყებითი კლასის მოსწავლეების განათლების პრაქტიკების ტრანსფორმაცია, მასში განხორციელებული ცვლილებები კოვიდ პანდემიის საწყისი ეტაპიდან დღემდე; ნაჩვენებია, თუ როგორი იყო კოვიდ პანდემის დროს და როგორი არის დღეს სწავლის პროცესი, რა შეიცვალა და რა გავლენა მოახდინა ონლაინ სწავლის პროცესმა საგანმანათლებლო სისტემაზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს კოვიდ პანდემიის საწყის ეტაპზე დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესში განხორციელებული ცვლილებების განსაზღვრა და იმის გარკვევა, თუ რამდენად განსხვავებული იყო განათლების პრაქტიკები კოვიდ პანდემიის საწყის ეტაპამდე და მოახდინა, თუ არა გავლენა განხორციელებულმა ცვლილებებმა მათ დღევანდელ განათლების პრაქტიკებზე.

კვლევა ეყრდნობა მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებულ ათ სიღრმისეულ ინტერვიუს და ასევე, კოვიდ პანდემიის პერიოდში სასკოლო განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებების მიმოხილვას.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კოვიდ პანდემიის საწყისი ეტაპიდან დღემდე, დაწყებითი კლასის მოსწავლეების სწავლის პრაქტიკებში განხორციელებული

ცვლილებები, მასწავლებლების და მოსწავლეების დამოკიდებულებები ონლაინ სწავლების მიმართ.

კვლევა მნიშვნელოვანია ამ სფეროში მომუშავე ადამიანებისა და ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის, რადგან სწავლების პროცესის პრაქტიკების ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მომავალი თაობების განათლებასა და მათ განვითარებაზე. კოვიდ პანდემია ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და სწავლებაც ისევ ონლაინ ფორმატში მიმდინარეობს, სწორედ განხორციელებული და უკვე დანერგილი ცვლილებები კი, ძალიან საინტერესოა საზოგადოებისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კოვიდ პანდემია, პრაქტიკების ტრანსფორმაცია, ონლაინ სწავლება, პრაქტიკის თეორია.

Abstract:

In the spring of 2020, when COVID-19 infection was first reported in Georgia, along with many other countries in Georgia, the learning process was stopped in classrooms and continued in virtual classrooms, ie training continued online. The topic discusses the transformation of elementary school education practices during the Covid Pandemic / early stage.

The paper presents the transformation of primary school education practices, the changes made in it from the initial stage of the Covid Pandemic to the present day; Shows what the Covid Pandemic was like and what the learning process is today and what has changed and how the online learning process has been affected. The aim of the study was to identify changes in the learning process for students in the early stages of the Covid Pandemic, as well as to find out how different education practices were from the early stages of the Covid Pandemic and to reflect changes in their current education practices.

The study is based on ten in-depth interviews with teachers and students, as well as an overview of current changes in education during the Covid Pandemic.

The paper presents the changes in the learning practices of elementary school students from the initial stage of the Covid Pandemic to the present day, the attitudes of teachers and students towards online learning.

Research is important for people working in the field and for those interested in the subject, as the transformation of teaching process practices will play an important role in educating and developing future generations. The Covid Pandemic is not over yet and the training is still online, the changes that have been implemented and have already been introduced are of interest to the community.

Keywords: Covid Pandemic, Practice Transformation, Online Learning, Practice Theory

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის, განსაკუთრებულ მადლოვას ვუხდი ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს- ასისტენტ-პროფესორ ნინო რჩეულიშვილს. მან თავისი რჩევებით, კრიტიკული მოსაზრებებითა და შესწორებით, კვლევის სხვადასხვა ეტაპზე, მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია.

ასევე, პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის, მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებს.